ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება / General and Applied Linguistics

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ლინგვისტიკის მაგისტრი / Master of Arts in Linguistics
სპეციალიზაცია: ლინგვისტიკა/ Linguistics

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი, (ოთხი სემესტრი) რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- სავალდებულო საგნები - 60 კრედიტი
- არჩევითი საგნები - 30 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: სამაგისტო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს არსებითი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროში; გამოუმუშაოს ლინგვისტური პრობლემების დასმის, საჭირო რესურსების მოძიების, საკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი. სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს მაგისტრანტის საფუძვლიან მომზადებას და ენათმეცნიერების სფეროში მის პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც დაემყარება, ერთი მხრივ, ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების - კომპიუტერული ლინგვისტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის - ცოდნა–გაცნობიერებას; მეორე მხრივ კი, თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოსინტაქსის, სემანტიკა-პრაგმატიკის, ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის - ცოდნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას. თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული ექსპერიმენტული კვლევის ლაბორატორიის არსებობა პროგრამას საშუალებას აძლევს ცალკე არჩევით სასწავლო საგანთა ბლოკად გამოყოს ზოგადი ფონეტიკა–ფონოლოგია, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე ფონოლოგიის უახლესი მიღწევების საფუძველზე აღზარდოს ენათმეცნიერი ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ექსპერტიზის სფეროში ცოდნის კონცენტრაციით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ, სოციალურ, საბუნებისმეტყველო და მიმართულებათშორის დარგებსა და ქვედარგებში; ან დამატებითი (Minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში ან გამოყენებით ენათმეცნიერებაში.

- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა;
- უცხო ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) გამოცდა. პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხო ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

სწავლის შედეგი: ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ გამოიყენოს, შეისწავლოს და სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ენათმეცნიერების ისტორიისა და თეორიის ყველა ფუნდამენტური მნიშვნელობის პრობლემა; სამაგისტრო კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეიძენენ ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მათ შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხების დასმის, მოსაზრებათა ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. კურსდამთავრებულები მომზადდებიან როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების ფართო დიაპაზონის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ენათა ტიპოლოგიურ კვლევას როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ასპექტში; ასევე, ენათა ისტორიული მიმართებების კვლევას მიკრო და მაკრო ნათესაობის თვალსაზრისით. გამოყენებითი ასპექტების არჩევის შემთხვევაში მათ შეეძლებათ თავიანთი ცოდნის რეალიზაცია ექსპერიმენტულ ლინგვისტიკაში, ფსიქოლინგვისტიკაში, სოციოლინგვისტიკასა და კომპიუტერულ ლინგვისტიკაში; ზოგადი ფონეტიკა–ფონოლოგიის არჩევითი მოდულის გავლის შემთხვევაში მაგისტრი იქნება ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის ფართო პროფილის სპეციალისტი.

მაგისტრანტი შეიძენს მნიშვნელოვან კომპეტენციებსა და უნარებს. მათ შორის:

1. ცოდნა და გაცნობიერება: სტუდენტს აქვს ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ფლობს სხვადასხვა ენობრივ დონეზე ენობრივი სტრუქტურების ანალიზის ძირითად თეორიულ საფუძვლებს და მეთოდოლოგიებს, ასევე, ტიპოლოგიურ და ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ენათა სისტემური შედარების თეორიებს და საფუძვლიანად იცნობს თანამედროვე ენათმეცნიერების გამოყენებით დარგებს - სოციოლინგვიტიკას, ფსიქოლინგვიტიკას, კოგნიტიურ ლინგვისტიკას, კომპიუტერულ ლინგვიტიკას და სხვა. აქვს უნარი შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეული ენათმეცნიერული პრობლემების გადაჭრის ნოვატორული მიდგომები და გზები. ფლობს სინქრონული და დიაქრონული ფონეტიკის, ფონეტიკის ისტორიის, შედარებითი ფონეტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ფონეტიკური ექსპერტიზის ყველა მეთოდს.
მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

2) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა: კვლევის კონკრეტული ამოცანის შემოსაზღვრა, შესაბამისი ენობრივი მასალის მოპოვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; მასალის დამოუკიდებლად ანალიზი ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოსინტაქსისა და სემანტიკა-პრაგმატიკის დონეზე; ენათა შედარებითი ანალიზი ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით; ახალ, გაუთვალიწინებელ და მულტიდისციპლინარულ სფეროში ინოვაციური კომპლექსური პროპლემების გადაწყვეტა, ორიგინალური გზების მოძიება; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნა და მეთოდოლოგია გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც ლოგოპედმა და აუდიოჩანაწერების ექსპერტმა. ამას გარდა, გაშალოს კვლევა ერთი რომელიმე ენის, ისე ენათა მონათესავე ან ერთ არეალში გავრცელებული ენების ბგერითი სისტემების კომპარატივისტული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით.
მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

3) დაკვნის უნარი: კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევის უახლესი მეთოდებით მოპოვებული ახალი, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. ენათმეცნიერების უახლესი თეორიული მიდგომებისა და მიმართულებების საფუძვლიანი ცოდნა მას დაეხმარება კონკრეტულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში და ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზში. აკეთებს სანდო დასკვნებს როგორც ჩაწერილი, ისე სამეტყველო ბგერების ურთიერთმიმართებათა შესახებ ერთი ან რამდენიმე ენის ფარგლებში.

4) კომუნიკაციის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს ენათმეცნიერების სფეროში ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთკავშირის დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ, მათ შორის საერთაშორისო დონეზე, საზოგადოებასთან დარგობრივი პრობლემატიკის საკითხებზე დისკუსიაში ჩართვის უნარი; აცნობიერებს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს. ფლობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და უცხო ენას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის საკომუნიკაციო უნარს. მაგისტრს აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით და ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

5) სწავლის უნარი: ენათმეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული მზადაა ახალი იდეების მისაღებად და გასავითარებლად სწავლის, ნებისმიერი საქმიანობისა თუ კვლევის პროცესში. მას შეუძლია სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა. ამ პროცესის თავისებურებების გაცნობიერების ფონზე აქვს სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.

6) ღირებულებები: შეუძლია უახლეს ენათმეცნიერულ თეორიებსა და მიდგომებში ახალი ღირებულებების გამოკვეთა, ამ ღირებულებებისადმი თავისი თუ სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პატივს სცემს საკუთარ პროფესიას, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, ზოგადსაკაცობრიო, ევროპულ და ეროვნულ ღირებულებებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლების ფორმებია ლექციები და სამუშაო ჯგუფებთან მეცადინეობები და/ან პრაქტიკუმები; დამატებითი ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდება საკონსულტაციო შეხვედრებზეც. ლექციები და მეცადინეობები ინტერაქტიულია და ორიენტირებულია სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე. ლექცია ტარდება ზეპირი ახსნა-განმარტებების სახით; რიგ შემთხვევებში გამოიყენება თვალსაჩინოებები - სქემები, სტრუქტურირებული თეზისები და ძირითადი დასკვნები, PowerPoint პროგრამაში დამუშავებული სლაიდები. მსჯელობა ეფუძნება ევრისტიკულ, ინდუქციისა და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს; სამუშაო ჯგუფებში ეწყობა დისკუსია-დებატები. წერითი დავალებების (როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე) შესრულების ხარისხის შესაბამისად მიიღება შემაჯამებელი შუალედური და საბოლოო გამოცდების შეფასებები. საბოლოო გამოცდამდე ყოველი სტუდენტის მიერ მზადდება რეფერატი და/ან პრეზენტაცია (შერჩევით) გაფორმებული თვალსაჩინოებისა და PowerPoint სლაიდების სახით. პრეზენტაციები შესაძლებელია მომზადდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს შემდეგ მეთოდებს: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ კვლევა-ძიება და სწავლება სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში. მზად არიან დოქტორანტურის გასავლელად. მათ შეუძლიათ მუშაობა როგორც სპეციალისტებს ლინგვისტური ექსპერტიზის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის შესაბამის კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში; ასევე, კომპიუტერული ლინგვისტიკის პროექტებსა და პროგრამებში; გარდა ამისა:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ლოგოპედის, ადმინისტრაციის თანამშრომლის პოზიცია);
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- სამეცნიერო ბიბლიოთეკებში;
- არქივებში;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;

- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- კომპიუტერულ ცენტრებში;
- სასამართლოს სისტემაში, როგორც ლინგვისტური ექსპერტიზის სპეციალისტებს.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

საგნების სილაბუსები (იხ. დანართი 2)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: თამაზ გამყრელიძე

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ
პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები და მოწვეული პროფესორები:

	სახელი, გვარი	წოდება	თანამდებობა/სტატუსი
1	თამაზ გამყრელიძე	აკადემიკოსი	სრული პროფესორი
2	რუსუდან ასათიანი	ფილოლ. მეცნ. დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
3	თინათინ ბოლქვაძე	ფილოლ. მეცნ. დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
4	ნათელა ქუთელია	ფილოლ. მეცნ. დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
5	ივანე ლეჟავა	ფილოლ. დოქტორი	უფროსი სპეციალისტი
6	ირინე მელიქიშვილი	ფილოლ. მეცნ. დოქტორი	ემერიტუსი
7	ქეთევან მირზიკაშვილი	დოქტორანტი	ლაბორანტი
8	მარინე ივანიშვილი	ფილოლ. დოქტორი	მოწვეული პროფესორი
9	ოლეგ კაპანაძე	ფილოლ. მეცნ. დოქტორი	მოწვეული პროფესორი
10	ეთერ სოსელია	ფილოლ. მეცნ. დოქტორი	მოწვეული პროფესორი
11	გოგი ჩიკოიძე	ფილოლ. მეცნ. დოქტორი	მოწვეული პროფესორი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: პროგრამა ხორციელდება თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის ბაზაზე. ინსტიტუტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ტექნიკური ბაზა: სამი კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი. ინსტიტუტში არსებობს ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. ინსტიტუტის შემადგენლობაში შედის გიორგი ახვლედიანის სახელობის კაბინეტი საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკით. მაგისტრანტი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით. ინსტიტუტთან არსებული ცენტრის „ენა, ლოგიკა, მეტყველება“ ორგანიზებითა და ამსტერდამის „ენის, ლოგიკისა და

გამოთვლების“ ინსტიტუტის მხარდაჭერით ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ბიენუალური საერთაშორისო სიმპოზიუმები. ამ სიმპოზიუმის ფარგლებში უცხოელი მეცნიერები ატარებენ სტუდენტებისათვის სალექციო კურსებს - ტუტორიალებს; ამასთანავე, ვენის უნივერსიტეტის კურტ გოედელის საზოგადოების მხარდაჭარით ყოველწლიურად ტარდება საზაფხულო ორკვირიანი სკოლები „ენა და ლოკიგა“. ყოველივე ეს პროგრამის მაგისტრანტებს აძლევს განსაკუთრებულ საშუალებას აიმაღლონ თავისი პროფესიული დონე და გაიფართოვონ ინტერესთა სფეროები, განსაკუთრებით, ენათმეცნიერების გამოყენებითი ასპექტების მიმართულებით.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.